



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 2 „ 18 „ 05 2020

დადგენილება № 15

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს დამატება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N32 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლში და აღნიშნული მუხლის 7.2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები:
 „გ) სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობისას;
 დ) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობისას.“
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. საფუძველი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის 2020 წლის 21 აპრილის #10/7 დადგენილება
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე